ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4837428

ნომერი: AR1722564

თარიღი : 05.12.2019

გაცემის თარიღი : 30.01.2020

გაცნობის თარიღი : 30.01.2020

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ერეკლე II , N 11 (ნაკ. N45/12);

დამკვეთი-განმცხადებელი
- ეკატერინე სიყმაშვილი პ/ნ 25001034820
- ლაგოდეხი ს. შრომა

ნომენკლატურა :

- სარეაბილიტაციო სამუშაოები (დაზვერვა, გაწმენდა, კონსერვაცია, რეკონსტრუქცია, რესტავრაცია, ადაპტაცია, უძრავი ძეგლის ცვლილება)
- II კლასი
- ძეგლზე ჩასატარებელი სამუშაოები
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შ.პ.ს ,,პიკი''
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 404927246
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ნონა წერეთელი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 35001048163

.კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის არქიტექტურული პროექტი:

- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ეკატერინე სიყმაშვილი

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი განცხადება. პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში კვლავ გამოვლინდა ხარვეზები, კერძოდ:

- წარმოდგენილი იქნას არსებული სიტუაციის ამსახველი, უახლესი ფოტომასალა, საპროექტო არეალის ჩვენებით.
- წარმოსადგენია საპროექტო გენგეგმის სრულყოფილი ნახაზი.
- საკითხის სრულყოფილად განხილვის მიზნით წარმოსადგენია სარეაბილიტაციო შენობის ანაზომები.
- დასაზუსტებელია საპროექტო ნახაზები, არ შეესაბამება ერთმანეთს, (გენგეგმაზე და სახურავის გეგმაზე უნდა გამოჩნდეს 1-2 მონაკვეთში არსებული შენობის ნაწილი)
- პროექტის დაზუსტების შემდგომ, კონსტრუქციული ნაწილი მოიყვანეთ არქიტექტურასთან შესაბამისობაში, ასევე კონსტრუქციული პროექტის ყველა ნახაზზე დატანილი იქნას პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა.
- გეოლოგიური კვლევა ეხება არსებული შენობის სარდაფის სართულის ჰიდროსაიზოლაციო სისტემის მოწყობას. წარმოადგინეთ საპროექტო სამუშაოებთან მიმართებაში დამოწმებული სახით. განახლდეს დოკუმენტაცია
- წარმოდგენილი იქნას კონსტრუქციული დასკვნა შენობის მდგრადობისა და ჩასატარებელი სამუშაოების მასზე შესაძლო ზეგავლენის შესახებ.
- შესაბამის ველში განმარტეთ ვის მიერ ხორციელდება სამუშაოები. თუ სამუშაოები შპს „პიკის“ მიერ ხორციელდება, მაშინ წარმოდგენილი იქნას შპს „პიკის“ მიერ განმცხადებელზე გაცემული მინდობილობა, ასევე იჯარის ხელშეკრულება და საჭიროების შემთხვევაში, შპს „კაია გრუპის“ თანხმობა. ხოლო მესაკუთრის მიერ სამუშაოების წარმოების შემთხვევაში, დამკვეთად შპს „კაია გრუპ“ დაფიქსირდეს. ასევე, წარმოსადგენია იპოთეკარის თანხმობა, საჭიროების შემთხვევაში, თანხმობის გამცემი პირის უფლებამოსილების დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად და ინგა ხელაიას სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობა.
- წარმოსადგენია სრული მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი, კალენდარულ გრაფიკში მითითებულია სადემონტაჟო სამუშაოები.

გაცნობებთ, რომ კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონის 25–ე მუხლის შესაბამისად, ძეგლზე მისი კვლევის ან რეაბილიტაციის მიზნით შეიძლება ჩატარდეს შემდეგი სახის სამუშოები: ა) დაზვერვა; ბ) გაწმენდა; გ) კონსერვაცია; დ) რესტავრაცია; ე) რეკონსტრუქცია; ვ) ადაპტაცია. შესაბამისად, საპროექტო დოკუმენტაციაში "დემონტაჟი"–ს სამუშაოები არ უნდა იყოს ნახსენები; ამასთანავე განგიმარტავთ, რომ კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონის 26–ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, "უძრავი ძეგლის ან მისი ნაწილის დაშლა დასაშვებია მხოლოდ ძეგლზე ამ კანონით დაშვებული სამუშაოების (რეკონსტრუქციის) ფარგლებში და ძეგლის აღდგენის პირობით, იმ შემთხვევაში, თუ ამას მოითხოვს ძეგლის ინტერესები ან თუ ძეგლის არსებული მდგომარეობა საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას და არ არსებობს ამ საფრთხის თავიდან აცილების სხვა შესაძლებლობა". ამავე კანონის მე–3 მუხლის თანახმად: "ძეგლის რეკონსტრუქცია– დეტალურ სამეცნიერო კვლევებზე და ზუსტ ანაზომებზე დაყრდნობით, ახალი ან ძველი მასალით ან მათი კომბინაციის გამოყენებით, მთლიანად ან ნაწილობრივ დანგრეული ან დაშლილი ძეგლის ან მისი ფრაგმენტის პირვანდელი სახით ხელახლა აშენება"
- საზ. სივრცეში დროებითი ღობის ან სხვა ელემენტების მოწყობის შემთხვევაში წარმოდგენილი იქნას შესაბამისი სქემა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს თანხმობა.

ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების გამოუსწორებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

• დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.